ნეოგაზი NEOGAS

№ 12116-4 16 სექტემბერი 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრის მოადგილეს,

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ნეოგაზი" მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წეროვანის მიმდებარედ არსებული ავტო გაზგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

კომპანიას, აღნიშნულ ობიექტზე, ბუნებრივი აირის საცავების ფუნქციონირების მიზნით გააჩნია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის №-886 ბრძანებით გაცემული N000181 (19.11.2015) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ამასთან, კომპანიამ აღნიშნული ნებართვა ჩაანაცვლა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-25 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით. ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, არსებულ გაზგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების სარეალიზაციო წერტილების დამატების მიზნით, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებით ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, მომზადებულ იქნა შესაბამისი სკრინინგის ანგარიში.

ამასთან გაცნობებთ, რომ სკრინინგის დოკუმენტაციაში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 6 მაისის N4549/01 წერილში აღნიშნული საკითხები.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად.

პატივისცემით

ქახაბერ გაბაშვილი

დირექტორი

შპს „ნეოგაზი" საქართველო 405037213 GEORGIA "NEOGAS" LTD

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 16786
17 09 2021
გ/ ...

შპს „ნეოგაზი", ს/კ 405037213, გაზაფხულის ქ. № 18, თბილისი, საქართველო, 0177
Ltd "Neogas", ID 405037213, # 18 Gazapkhuli Str, 0177, Tbilisi, Georgia, Tel: +99532 221 03 31
E- mail: info@neogas.ge Web: www.neogas.ge